



საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ  
GEORGIAN NATIONAL UNIVERSITY SEU

## საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს ბიზნეს უწყვეტობისა და რისკების მართვის გეგმა

დამტკიცებულია  
რექტორის 2019 წლის 2 დეკემბრის №923 ბრძანებით  
შეტანილია ცვლილება  
რექტორის 2020 წლის 19 ივნისის №379 ბრძანებით

თბილისი  
2020

## შესავალი

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს ბიზნეს პროცესების უწყვეტობა ყველა სიტუაციაში უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს. ჩვეული გარემოებების პირობებში, სეუ-ს მართვა და ფუნქციონირება ხდება მისი მთავარი პროცედურების მიხედვით. თუმცა, არსებითი მნიშვნელობისაა, რომ არსებობს რისკებისა და პირობების შემსუბუქების გეგმები და პროცედურები ნებისმიერი ისეთი გაუთვალისწინებელი შემთხვევისათვის, რომელიც გამოწვევებს შეუქმნის ნორმალურ ფუნქციონირებას ან რომელმაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას მას.

სეუ, თავისი შიდა და გარე გარემოს სხვადასხვა საჭიროებებსა და მოთხოვნებზე რეაგირებისთვის იყენებს ინოვაციურ და მოქნილ მიდგომებს, განჭვრეტს ტენდენციებს და ყურადღებას ამახვილებს ხარისხის გაუმჯობესებაზე.

სეუ უწყვეტად დებს ინვესტიციებს ინფრასტრუქტურის განვითარებაში, ნერგავს ახალ პროცესებს და აუმჯობესებს ტრადიციული პროცესების ეფექტურობასა და ხარისხს, რათა გაზარდოს მდგრადობა და შესაძლებლობები სხვადასხვა სიტუაციებში კვალიფიციური რეაგირებისთვის და უზრუნველყოს ბიზნეს პროცესების ჩვეული უწყვეტობა.

## მიზანი


სეუ-მ ჩამოაყალიბა გეგმა, რათა უზრუნველყოს მისი უმსხვილესი ბიზნეს პროცესების უწყვეტობა გაუთვალისწინებელი და უბედური მოვლენების შემთხვევაში. ბიზნესის უწყვეტობის გეგმა არის ინსტრუმენტი, რომელიც გვეხმარება ისეთი გაუთვალისწინებელი სიტუაციებისთვის მოსამზადებლად, რომლებმაც შესაძლოა ხანმოკლე ან ხანგრძლივი ვადით მიუწვდომელი გახადოს ისეთი რესურსები, როგორებიცაა პერსონალი, ჩანაწერები, ინფორმაცია, საცხოვრებელი პირობები და ფიზიკური ობიექტები.

აღნიშნული გეგმა ამზადებს სეუ-ს, რათა გაუმკლავდეს საფრთხეებსა და სხვა მოვლენებს, რომლებმაც შესაძლოა შეაფერხოს მისი ბიზნეს პროცესები და უარყოფითი გავლენა მოახდინოს მის ფუნქციონირებაზე. გეგმა ითვალისწინებს სეუ-ს შიდა შესაძლებლობებსა და გარე ფაქტორებს, შესაძლო რისკებს, მათი პრევენციისა და შემსუბუქების მექანიზმებს,

მათ შორის ინციდენტის მართვას, ინფორმაციული ტექნოლოგიების აღდგენას უბედური შემთხვევისას და კრიზისის მართვას.

### ბიზნეს უწყვეტობის დაგეგმვის პროცესი

სეუ-ს ბიზნეს უწყვეტობის გეგმა ემყარება ცხოვრების ციკლს, რომელიც შემუშავებულია და მოქმედებს მსოფლიოს წამყვან ინსტიტუტებში, კომპანიებსა და ორგანიზაციებში და შედგება 5 ფაზისგან:



5 ნაბიჯის მიდგომა ბიზნესის უწყვეტობის დაგეგმვაში საშუალებას აძლევს სეუ-ს თავიდან აიცილოს და მინიმუმამდე შეამციროს წყვეტადობის გავლენა მის პერსონალზე, სტუდენტებზე, მთავარ დაინტერესებულ პირებზე და საზოგადოებაზე და შეინარჩუნოს სეუ-ს რეპუტაცია. საბოლოოდ, ეს ეხმარება სეუ-ს მოახდინოს ინციდენტების კატეგორიზაცია და სწრაფად შეაფასოს მათი კრიტიკულობა, განსაზღვროს საპასუხო

პროცედურა, დაადგინოს რეაგირების გუნდის წევრები, სამუშაოს ნაკადი და ინციდენტების გადაწყვეტა, ვიდრე ეს ინციდენტები შეაფერხებენ მიმდინარე საქმიანობას.

### პირველი ფაზა - ანალიზი

ანალიზი წარმოადგენს ეფექტური ინსტიტუციონალური მდგრადობისა და გარდაქმნის საყრდენს ბიზნესის უწყვეტობის გეგმის ფარგლებში. მისი მიზანია, დაადგინოს კრიტიკული ბიზნეს პროცესები და გაანალიზოს მათი გავლენა ბიზნესზე. სეუ-ში ანალიზი წელიწადში ერთხელ ტარდება და მოიცავს აკადემიურ პროცესთან დაკავშირებული თვითშეფასების პროცესებსა და შინაარსს, ასევე, სტრატეგიული პრიორიტეტებისა და გეგმების განხორციელების შესახებ ინფორმაციას, მათ შორის, ოპერაციული პროცესების დახვეწას და ახალი პროცესების შემუშავებასა და განხორციელებას.

### მეორე ფაზა - გადაწყვეტის პროექტი

გადაწყვეტის პროექტი უნდა აისახოს პირველი ფაზის - ანალიზის დასკვნებში. ეს არის გეგმა, რათა შემსუბუქდეს კრიტიკული ბიზნეს პროცესების მოსალოდნელი წყვეტის შედეგები. დაგეგმარება არის უმთავრესი წინაპირობა ახალი პროცესების დასაწერად და არსებული პროცესების გასავითარებლად. იგი განსაზღვრავს აღდგენის დროის სამიზნეს (RTO) თითოეული პროცესისთვის, რომელიც არის დროის ის მონაკვეთი, რომელშიც კრიტიკული ბიზნეს პროცესები უნდა აღდგეს, ვიდრე წყვეტის გავლენა გახდება დაუძლეველი.

სეუ-ში გადაწყვეტილებები მიიღება ინსტიტუციური სპეციფიკის შესაბამისად. ეს გადაწყვეტილებები ძირითადად შემუშავებულია ინსტიტუციური მენეჯმენტის, აკადემიური პერსონალის და შიდა IT დეველოპერების მიერ, რომლებიც სრულად არიან ჩართულნი ანალიზის ფაზაში, მოსამზადებელ კონსულტაციებსა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

## მესამე ფაზა - განხორციელება

გეგმის განხორციელება არის ბიზნესის უწყვეტობის დაგეგმვის სასიცოცხლო ციკლის მესამე ფაზა. განხორციელების ღონისძიებები მოიცავს ყველა მოსამზადებელ სამუშაოს, რომელიც აუცილებელია ახალი გადაწყვეტილებების გამოცდისა და მიღებისათვის, დაწყებული თითოეული როგორც შიდა, ისე გარე პროცესისათვის საჭირო სპეციფიკური რესურსების იდენტიფიკაციიდან და აღწერიდან. განხორციელების ფაზის განმავლობაში შესაძლებელია გაკეთდეს დაპროექტებული გადაწყვეტილებების ზუსტი აწყობა და IT ინფრასტრუქტურის პოტენციურად ადაპტირება შესყიდვის სიაში, იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შემდეგი თაობის აღჭურვილობის ხელმისაწვდომობა და საჭიროა შემუშავებული გადაწყვეტილებების მხარდაჭერა.

## მეოთხე ფაზა - ტესტირება და აღიარება

ტესტირება და აღიარება იძლევა შემუშავებული გადაწყვეტილებების გამოცდას და შეფასებას, აუმჯობესებს თუ არა მათი ზეგავლენა ოპერაციების გამძლეობას, ასევე, მომსახურებისა და პროცესების უწყვეტობას, ხარისხსა და სტაბილურობას. ამ ფაზაში მოწმდება სტრატეგიები და შემამსუბუქებელი ზომები RTO-ს მნიშვნელოვანი პროცესების აღსადგენად. გარდა ამისა, ტესტირებისა და აღიარების ფაზა გამოიყენება ახალი გადაწყვეტილებების კორექტირებისათვის, იმ შემთხვევაში თუ საბოლოო მომხმარებელი გვთავაზობს განახლებებს.

## მეხუთე ფაზა - ექსპლუატაცია

შენარჩუნება არის ბიზნესის უწყვეტობის დაგეგმვის სასიცოცხლო ციკლის საბოლოო ფაზა. შეგროვებული გეგმებისა და მონაცემების რეგულარული დახვეწა და ექსპლუატირება, თუ როგორ უნდა მოხდეს მათი გამოყენება შეფერხების შემთხვევაში, იძლევა მნიშვნელოვანი პროცესების მდგრადი მუშაობის საშუალებას.

ამ პროცესის საბოლოო შედეგია ბიზნესის უწყვეტობის გეგმა, რომელიც განიხილება და შესაბამისად განახლდება ყოველწლიურად, იგივე ხუთსაფეხურიანი პროცესის თანახმად.

## IT სერვისების როლი სეუ-ს ბიზნესის უწყვეტობის გეგმაში

სეუ დგამს ყველა გონივრულ ნაბიჯს იმის უზრუნველსაყოფად, რომ სერიოზული ინციდენტის შემთხვევაში შენარჩუნდეს მნიშვნელოვანი აქტივობები და ნორმალური მომსახურება განახლდეს რაც შეიძლება მალე. მთავარი პრიორიტეტია ხალხის უსაფრთხოებისა და სამუშაო გარემოს უსაფრთხოების უზრუნველყოფა. IT სერვისები აღიარებულია, როგორც ერთ–ერთი მთავარი საყრდენი ოპერაციების შეფერხებების თავიდან ასაცილებლად და გადაუდებელი სიტუაციებისა და კატასტროფების დროს გამოსწორების დროის შესამცირებლად. IT სერვისები უზრუნველყოფენ თანმიმდევრულ, კოორდინირებულ და ავტომატიზირებულ მიდგომას რისკის შეფასებისას, აღდგენის გეგმების დოკუმენტირებისა და ტესტირებისას, ამასთან, ისინი ასევე ავტომატიზირებენ ბიზნესის უწყვეტობის გააქტიურების პროცესს, კატასტროფების აღდგენასა და კრიზისულ გეგმებს, რათა ხელი შეუწყონ კრიზისულ მოვლენებზე კოორდინირებულ და მიზნობრივ რეაგირებას. აქედან გამომდინარე, სეუ ინვესტირებას ახდენს IT ინფრასტრუქტურასა და პროცესებში, რათა უზრუნველყოს:

1. ყველა სახის შეცდომის ნეიტრალიზება;
2. მომსახურების ხარისხის ამაღლება;
3. მომხმარებლის კმაყოფილების გაუმჯობესება;
4. სერიოზული დანაკარგების შემცირება;
5. ყველა სტანდარტიზებული და რუტინული დავალების ავტომატიზაცია.

ახალი IT გადაწყვეტილებები გამოყენებულია შემდეგ დეპარტამენტებში:

1. სტუდენტთა მომსახურება - ყველა მომსახურება გაციფრულებულია;
2. კარიერული განვითარება - ყველა მომსახურება გაციფრულებულია;
3. ბიბლიოთეკა - ყველა მომსახურება გაციფრულებულია;
4. კვლევა - კვლევის შედეგების შეგროვება და კლასიფიკაცია;
5. აკადემიური საქმეები:
  - სასწავლო პროცესის ორგანიზება;
  - გამოცდები;

- ECTS–ის გადამოწმება;
  - ონლაინ და დისტანციური სწავლება.
6. ხარისხის გაუმჯობესება - განათლების ხარისხისა და ყველა დამხმარე მომსახურების ხარისხის შეფასება;
7. ფინანსები - ფინანსური მენეჯმენტი და ბუღალტრული აღრიცხვა.

### ბიზნეს პროცესების უწყვეტობის გეგმის განხორციელება

ბიზნესის უწყვეტობის გეგმა, უპირველეს ყოვლისა, ეხება ბიზნესის უწყვეტობის მართვის ჯგუფს (BCMIG). მათ ევალებათ მზადყოფნა, რეაგირება ნებისმიერ მოვლენაზე, რაც ზეგავლენას ახდენს სეუ-ს მისიის შესრულების უნარზე და მისი გამოსწორება. ამასთან, გეგმა ვრცელდება სეუ-ს ყველა აქტივობასა და ოპერაციაზე.

BCMIG შედგება შვიდი წევრისგან - რექტორი და ვიცე-რექტორი ფინანსებისა და რესურსების საკითხებში არიან BCMIG-ის წევრები თანამდებობიდან გამომდინარე და რექტორი ირჩევს BCMIG-ს დამატებით სამ წევრს:

- ადმინისტრაციის ორ წარმომადგენელს;
- ერთ სეუ-ს IT დეველოპერს.

BCMIG ყოველწლიურად განიხილავს ბიზნესის უწყვეტობის გეგმას და ახალი აღმოჩენების გათვალისწინებით სთავაზობს განახლებებსა და შესაბამის კორექტირებას. BCMIG ამზადებს ყოველწლიურ ანგარიშს მომდევნო წლის 15 თებერვლამდე; ანგარიში მოიცავს განხორციელებულ აქტივობებს და, საჭიროების შემთხვევაში, დეტალური ანალიზის საფუძველზე, პოლიტიკის ვარიანტებსა და ინვესტირების ალტერნატივებს.

რექტორი ამტკიცებს ანგარიშს და განახლებულ ბიზნესის უწყვეტობის გეგმას.

### რისკების სახე, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს ნორმალურ ოპერაციებს

ბიზნესის უწყვეტობის დაგეგმვის პროცესები წარმოადგენენ რისკების მართვისადმი ინტეგრირებულ მიდგომას. რისკების მართვა აძლევს ორგანიზაციას საშუალებას გააცნობიეროს რისკების ზემოქმედების მთელი დიაპაზონი, მათ შორის, რისკის

განვითარების შემთხვევის ალბათობის, მისი გამოწვევის მიზეზებისა და ზეგავლენის პოტენციური სიმძიმის ჩათვლით. იგი ასევე ეხმარება ორგანიზაციებს რისკებისათვის პრიორიტეტის მინიჭებაში, შესაბამისი რისკების ადრესატებისთვის მათ მოხაზვაში და, თუ ეს შესაძლებელია, რესურსების ეფექტურად გამოყოფაში მათი შემსუბუქებისა და პრევენციისათვის.

ქვემოთ ჩამოთვლილია რისკები, რომლებიც შეიძლება გამოვლინდეს აკადემიურ გარემოში და რომლებიც კლასიფიცირებულია უნივერსიტეტის ოპერირების სფეროების მიხედვით, რომლებზეც მათ შეიძლება მოახდინონ გავლენა:

- **აკადემიური რისკები:**

- სწავლება (პედაგოგთა არასაკმარისი რაოდენობა; მათი კომპეტენციის დაბალი დონე; სასწავლო რესურსების ნაკლებობა; ტესტირების არასათანადო მეთოდები; სტუდენტთა ჩასარიცხი ქულების კლება და ა.შ.);
- კვლევა (შესაბამისი აღჭურვილობის არარსებობა; დაბალი ინოვაციური შესაძლებლობები; არასაკმარისი IT მხარდაჭერა და მომსახურება; კვლევითი კომპეტენციების ნაკლებობა; სამეცნიერო პერსონალის არასაკმარისი რაოდენობა; კვლევის შედეგების დაბალი რელევანტობა; გამოუქვეყნებელი შედეგები და ა.შ.);
- ხარისხი (სტუდენტთა კმაყოფილების დაბალი დონე; ზეწოლა უფრო მაღალი ნიშნებისათვის, რაც კარნახობს უფრო ადვილი გამოცდების ჩატარებას; კურსდამთავრებულთა დასაქმების დაბალი დონე; დაწესებულების რეიტინგის მნიშვნელოვან ვარდნა ძირითად რანჟირების სისტემაში; აკრედიტაციის და ავტორიზაციის დაკარგვა და ა.შ.);

- **ფინანსური რისკები** - არასაკმარისი სახსრები სწავლების, კვლევის, ოპერირებისა და განვითარებისათვის; შემოსავლების შეჩერება; არასაკმარისი ჩარიცხვა და სწავლის გადასახადი; ბუღალტრული შეცდომები; შემოსავლების ვარდნა; გაკოტრება;

- **ოპერაციული რისკები** - იურიდიული საკითხები, ლიდერობის არარსებობა; ბუნდოვანი მართვის პროცედურები; მართვის ეფექტური სტრუქტურის არარსებობა; მონიტორინგისა და გამომხაურების არარსებობა; დავალებებისა და პასუხისმგებლობების გაურკვეველი განაწილება; არასაკმარისი რესურსები



(სასწავლო აუდიტორიები, ლაბორატორიები, ტექნიკა, ცოდნა); ადამიანური შეცდომები, ტექნიკური შეცდომები და ავარიები (ტემპის ვარდნა, კავშირთან დაკავშირებული პრობლემები, სისტემის წარუმატებლობა, არასწორი კალკულაცია და ა.შ.);

- **შესაბამისობის რისკები** - სამართლებრივი ჯარიმები; საფრთხეები სამუშაო ადგილის, თანამშრომლებისა და სტუდენტების ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მიმართ; უშიშროების საფრთხეები; სოციალური პასუხისმგებლობისადმი დაუდევრობა; კორუფცია;
- **რეპუტაციული რისკები** - საერთო რეპუტაციის დაცემა; აღიარებულ რეიტინგებში ვარდნა; ცუდი პიარი; დაინტერესებული მხარეების ნდობის არქონა;
- **სტრატეგიული რისკები** - დაშვების სტანდარტების / პროგრესირების ტარიფის შემცირება; სტუდენტების არასაკმარისი ჩარიცხვა; გამჭვირვალების არარსებობა აკადემიური დაწინაურების პოლიტიკაში; მმართველობასთან დაკავშირებული საკითხები; აკადემიური ავტონომიურობის არარსებობა; კონკურენტების გამოჩენა.

### მნიშვნელოვანი ფუნქციები და ძირითადი დაზიანებები

ყველა რისკს არ აქვს ერთი და იგივე ალბათობა და ისინი არ მოქმედებენ ყველა ბიზნეს ფუნქციაზე ერთნაირად. ზემოთ ჩამოთვლილი რისკების უმრავლესობამ შეიძლება გავლენა მოახდინოს ოპერაციების ხარისხზე, შედეგების დროულ გამოღებაზე, ბაზარზე წარმატების დონეზე, მომხმარებელთა კმაყოფილებაზე და ა.შ. მაგრამ, ზოგადად, ისინი საფრთხეს არ შეუქმნიან მთელ ბიზნეს ოპერაციას ან ორგანიზაციას, რაც გამოიწვევდა მნიშვნელოვან ფინანსურ ზარალს, სერიოზულ დაზიანებას ან თუნდაც სიცოცხლის დაკარგვას. მეორე მხრივ, არსებობს გარკვეული რისკები, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს ბიზნესის დიდი ან დამღუპველი მოშლა მის მნიშვნელოვან ფუნქციებზე ზემოქმედების შედეგად. ამიტომ, იმისათვის, რომ შეეძლოს თავისი ბიზნესის უწყვეტობის დაგეგმვა, პრევენცია და მართვა, სეუ-მ განსაზღვრა თავისი კრიტიკული ფუნქციები:

- მეცადინეობების ჩატარება;
- კვლევის განხორციელება და სამეცნიერო პუბლიკაციები;

- აკადემიური ჩანაწერების და სტუდენტური მტკიცებულებების შენახვა;
- ანგარიშსწორების უწყისის დამუშავება;
- B2B გადარიცხვები;
- შემოსავლებისა და გადასახადების მენეჯმენტი.

ამის შემდეგ, სეუ-მ მოახდინა ძირითადი რისკების იდენტიფიცირება, რომლებიც მოხდენის შემთხვევაში, ფუნდამენტურად იმოქმედებენ მის მნიშვნელოვან ფუნქციებზე. ისინი ჩამოთვლილია ქვემოთ და კლასიფიცირდება სამ მთავარ ჯგუფად:

- **კომუნიკაციები:**
  - IT-ს მარცხი - ციფრული ტრანსფორმაცია ზრდის რისკებს, რომ განიცადო ბიზნესის მნიშვნელოვანი დანგრევა, კიბერშეტევის, cloud-ის ავარიული გამორთვის ან სხვა ტექნოლოგიური ავარიების გამო;
  - მონაცემთა დაკარგვა და მონაცემთა დაზიანება (შენახვის, გადაცემის ან დამუშავების წარუმატებლობით ან უყურადღებობით განადგურებული ინფორმაცია);
  - მონაცემთა ქურდობა (უნებართვო წვდომა პირადი და სენსიტიური ინფორმაციის მოსაპოვებლად, მაგ. პერსონალის შეფასების ფაილების);
  - მონაცემთა დაჰაკვა (უნებართვო წვდომა პირადი და სენსიტიური ინფორმაციის მოსაპოვებლად, მაგ. სტუდენტთა ჩანაწერების).
- **ფიზიკური ინფრასტრუქტურა (ქონება და IT ტექნიკა)**
  - ბუნებრივი და ადამიანის მიერ ხელთქმნილი კატასტროფები (მაგ. წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა, ეპიდემია, ომი / სამოქალაქო არეულობა და ა.შ.) - შენობების დაზიანება, სისტემების დაკარგვა;
  - კომუნალური ავარიები (მაგ. ელ-ენერჯის გათიშვა, განათების უკმარისობა, სანტექნიკა და წყლის გაჟონვა, ბუნებრივი გაზის გაჟონვა) - შენობაში შესვლის აკრძალვა.
- **ადამიანური რესურსები:**

- პერსონალის დაკარგვა (ძირითადი პერსონალის გამგზავრება, ნებაყოფლობით ან სხვაგვარად) - ცოდნის, რეპუტაციის, შესაძლებლობების დაკარგვა;
- უშიშროების საფრთხე (ტერორიზმი, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინფორმაციის და მასალის ქურდობა, უსაფრთხოებაზე სათანადო კონტროლის არარსებობა, დრომოჭმული პოლიტიკა).

ცხრილში მოცემულია ზემოთ ჩამოთვლილი ძირითადი რისკები, მათი სავარაუდო ზემოქმედების დონის შეფასებით, სეუ-ს ოპერაციების არეალი, რომელზეც შეიძლება მოხდეს ზემოქმედება და ის მნიშვნელოვანი ფუნქციები, რომლებიც მოსალოდნელია, რომ იქნება დარღვეული ამ რისკების გამოვლენის შემთხვევაში.

ძირითადი რისკები	ზეგავლენა	საუნივერსიტეტო ოპერაციების დაზიანების ზონები	მნიშვნელოვანი ფუნქციების დაზიანება
<b>კომუნიკაციები</b>			
IT მარცხი	ძირითადი	აკადემიური (სწავლება და კვლევა); ოპერატიული (მენეჯმენტი, დავალებისა და რესურსების გამოყოფა); ფინანსური (ბუღალტრული აღრიცხვის შეცდომები)	მეცადინეობების ჩატარება; კვლევის განხორციელება და სამეცნიერო პუბლიკაციები; აკადემიური ჩანაწერები და სტუდენტთა საკონტაქტო სიები; ანგარიშსწორების უწყისის დამუშავება; B2B გადარიცხვები
მონაცემთა დაკარგვა და მონაცემთა დამახინჯება	ძირითადი	აკადემიური (კვლევა); ოპერატიული (ადმინისტრირება, მონაცემთა მენეჯმენტი); ფინანსური (ბუღალტრული აღრიცხვა ფინანსური მენეჯმენტი)	კვლევის განხორციელება და სამეცნიერო პუბლიკაციები; აკადემიური ჩანაწერები და სტუდენტთა საკონტაქტო სიები; ანგარიშსწორების უწყისის დამუშავება; B2B გადარიცხვები; შემოსავლებისა და გადასახადების მენეჯმენტი
მონაცემთა მოპარვა	ძირითადი	ოპერატიული (მონაცემთა მენეჯმენტი); ფინანსური (გადახდასთან დაკავშირებული პრობლემები); შესაბამისობა (საფრთხეები); რეპუტაციული (ცუდი პიარი, ნდობის ნაკლებობა)	აკადემიური ჩანაწერები და სტუდენტთა საკონტაქტო სიები; ანგარიშსწორების უწყისის დამუშავება; B2B გადარიცხვები; შემოსავლებისა და გადასახადების მენეჯმენტი

მონაცემთა დაჰაკვა	ძირითადი	ოპერატიული (მონაცემთა მენეჯმენტი); ფინანსური (გადახდასთან დაკავშირებული პრობლემები); შესაბამისობა (საფრთხეები); რეპუტაციური (ცუდი პიარი, ნდობის ნაკლებობა)	აკადემიური ჩანაწერები და სტუდენტთა საკონტაქტო სიები; ანგარიშსწორების უწყისის დამუშავება; B2B გადარიცხვები; შემოსავლებისა და გადასახადების მენეჯმენტი
-------------------	----------	---	---

**ფიზიკური ინფრასტრუქტურა (ქონება და IT ტექნიკა)**

ბუნებრივი და ადამიანის მიერ ხელქმნილი კატასტროფები	კატასტროფული	ოპერატიული (რესურსების ხელმძღვანელობა, მონაცემთა დაკარგვა); აკადემიური (სწავლება, კვლევა); რეპუტაციული (საფრთხე საერთო რეპუტაციისთვის); სტრატეგიული (მნიშვნელოვანი სტრატეგიული ოპერაციების კლება)	მეცადინეობების ჩატარება; კვლევის განხორციელება და სამეცნიერო პუბლიკაციები; აკადემიური ჩანაწერები და სტუდენტთა საკონტაქტო სიები; ანგარიშსწორების უწყისის დამუშავება; B2B გადარიცხვები; შემოსავლებისა და გადასახადების მენეჯმენტი
--	--------------	---	---

კომუნალური მომსახურების ჩავარდნა	ძირითადი	ოპერატიული (შენობების და რესურსების ფუნქციონალურობა); შესაბამისობა (სამუშაო ადგილის, თამანშრომელთა და სტუდენტთა უსაფრთხოება); აკადემიური (სასწავლო და კვლევითი შენობები და მეთოდები)	მეცადინეობების ჩატარება; კვლევის განხორციელება და სამეცნიერო პუბლიკაციები; ანგარიშსწორების უწყისის დამუშავება; B2B გადარიცხვები
----------------------------------	----------	--	---

**ადამიანური რესურსები**

პერსონალის დაკარგვა (ძირითადი აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი)	ძირითადი	სტრატეგიული (ძირითადი პერსონალისა და კომპეტენციების დაკარგვა); აკადემიური (პედაგოგიური/სამეცნიერო პერსონალის რაოდენობისა და გამოცდილების არასაკმარისობა); ოპერატიული (ძირითადი ადმინისტრაციული პერსონალის დაკარგვა, დაგვიანებები, ცოდნისა და უნარების ნაკლებობა); რეპუტაციული (რეპუტაციის დაკარგვის საშიშროება, ცუდი პიარი)	მეცადინეობების ჩატარება; კვლევის განხორციელება და სამეცნიერო პუბლიკაციები; შემოსავლებისა და გადასახადების მენეჯმენტი
--	----------	---	---

საფრთხეები	ძირითადი	ოპერატიული (შენობებზე და მასალებზე წვდომა); შესაბამისობა (საფრთხეები, სამუშაო ადგილის, თამანშრომელთა და სტუდენტთა უსაფრთხოება); რეპუტაციული (ცუდი პიარი, ნდობის ნაკლებობა).	მეცადინეობების ჩატარება; კვლევის განხორციელება და სამეცნიერო პუბლიკაციები; აკადემიური ჩანაწერები და სტუდენტთა საკონტაქტო სიები; ანგარიშსწორების უწყისის დამუშავება; B2B გადარიცხვები; შემოსავლებისა და გადასახადების მენეჯმენტი
------------	----------	---	--

### ბიზნესის უწყვეტობის გეგმა და შემამსუბუქებელი ზომები

მაშინ, როცა რისკის მენეჯმენტი განსაზღვრავს რისკებს და შეიმუშავებს გეგმებს მათი თავიდან აცილებისა და შემსუბუქებისათვის, ბიზნესის უწყვეტობის დაგეგმვა მიმართავს ოპერაციულ რეაგირებას მნიშვნელოვანი ფუნქციების მოშლისა და მასთან დაკავშირებულ ძირითად რისკებზე.

ქვემოთ მოცემული გეგმები ემყარება სეუ-ს რეალურ საჭიროებებს და მისი მნიშვნელოვანი ოპერაციების განახლების აუცილებლობას. ამ დროს აღდგენის პროცესში ნორმალური ფუნქციონირება, რეაგირება და შესაძლებლობები არ არის ხელმისაწვდომი. ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოცემულია სეუ-ს ბიზნესის უწყვეტობის გეგმა. იგი უზრუნველყოფს “მნიშვნელოვნად” აღიარებული ფუნქციების მიმოხილვას, ზეგავლენის მოკლე აღწერით, რომელსაც გამოიწვევს მათი ძირითადი შეფერხებები (რომელ პროცესებს ექმნებათ საფრთხე) და რა რესურსები და პირობებია მათზე უშუალოდ დამოკიდებული და სავარაუდოდ იქნება დაზიანებული. და ბოლოს, იგი ასახავს შემსუბუქების ზომებს, აღდგენის მოსალოდნელი ვადით, რაც წარმოადგენს ბიზნესის უწყვეტობის დაგეგმვის პროცესის უმთავრეს შედეგს.

მნიშვნელოვანი ფუნქცია	ზეგავლენის აღწერა	დამოკიდებულებები	შემამსუბუქებელი ზომები	აღდგენის პერიოდის მიზანი
მეცადინეობების ჩატარება	შეიძლება საფრთხე შეუქმნას სტუდენტების დროულად სწავლის შესაძლებლობას და ინსტიტუციურ რეპუტაციას	ხელმისაწვდომი საკლასო ოთახები, ელექტრო ენერჯია, აკადემიური და მოწვეული პერსონალის მუშაობის უნარი, IT სერვისები, მუშა კომპიუტერები, ლაბორატორია და სხვა მოწყობილობები	ძირითადი პერსონალის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; შესაძლებლობების შენარჩუნება; მეცადინეობის ჩატარება ინტერნეტი; IT დახმარების მოწყობა და გრაფიკი; კლასების ჩატარება კამპუსის გარეთ; მოაწყოს სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის ტრანსპორტირება ალტერნატიულ ადგილზე	< 1 კვირა
კვლევის განხორციელება და სამეცნიერო პუბლიკაციები	შეიძლება საფრთხე შეექმნას კვლევითი პროექტების განხორციელებას, საგრანტო დაფინანსებას, საგამომცემლო დღის წესრიგს; საფრთხე შეექმნას ინსტიტუციურ რეპუტაციას	მნიშვნელოვან მონაცემებზე წვდომა, ძირითადი პერსონალი, მუშა კომპიუტერები, ლაბორატორიები	უზრუნველყავით ძირითადი პერსონალის ხელმისაწვდომობა; გამოიყენეთ IT მხარდაჭერა; მონაცემებზე წვდომა; ჩაატარეთ კვლევა კამპუსის გარეთ დაწესებულებებში; გადაანაწილეთ დავალებები და რესურსები	< 1 კვირა
აკადემიური ჩანაწერები და სტუდენტთა საკონტაქტო სიები	შეიძლება საფრთხე შეექმნას სტუდენტების პროგრესს; დაიკარგოს სტუდენტთა საკონტაქტო ინფორმაცია; საფრთხე შეექმნას ინსტიტუციურ რეპუტაციას	მნიშვნელოვან მონაცემებზე, ძირითად ადმინისტრაციულ პერსონალზე, IT სერვისებზე; მყარ ასლის ჩანაწერებზე წვდომა	IT მხარდაჭერა და მომსახურება; მონაცემებზე წვდომა; რეგულარული (ყოველკვირეული) განახლება და ბექაფი (როგორც ელექტრონული, ისე მყარი ასლით)	< 1 კვირა
ანგარიშსწორების უწყისის დამუშავება;	შეიძლება საფრთხე შეექმნას მუშახელს (პერსონალის, ცოდნისა და	ხელმისაწვდომი სახსრები და მონაცემებზე წვდომა ხელფასის გაცემის, ძირითადი	გამოიყენეთ IT მხარდაჭერა (უსაფრთხო პროგრამები) მონაცემებზე	< 1 კვირა

	შესაძლებლობების დაკარგვა)	ადმინისტრაციული პერსონალის დასახმარებლად	წვდომა; რეგულარული (ყოველკვირეული) განახლება და ბექაფი (როგორც ელექტრონული, ისე მყარი ასლით)	
B2B გადარიცხვები	შიდლება საფრთხე შეექმნას დაწესებულების ფუნქციონირებას, დაინტერესებულ მხარეებთან და მომსახურების მომწოდებლებთან ურთიერთობას და ინსტიტუციონალურ რეპუტაციას	ხელმისაწვდომი სახსრები და მონაცემებზე წვდომა გადახდების, ძირითადი აპერსონალის, დაინტერესებული მხარეებთან ურთიერთობების დასახმარებლად	გამოიყენეთ IT მხარდაჭერა (უსაფრთხო პროგრამები) მონაცემებზე წვდომა; რეგულარული (ყოველკვირეული) განახლება და ბექაფი (როგორც ელექტრონული, ისე მყარი ასლით)	< 1 კვირა
შემოსავლებისა და გადასახადების მენეჯმენტი	შიდლება საფრთხე შეექმნას დაწესებულების ფუნქციონირებას და ლიკვიდობას, ინსტიტუციონალურ რეპუტაციას და შესაძლებლობებს	ხელმისაწვდომი თანხები და წვდომა სწავლისა და სხვა გადახდების შესახებ	ფინანსური მედეგობის გეგმა; გამოიყენეთ IT მხარდაჭერა (უსაფრთხო პროგრამები) მონაცემებზე წვდომა; რეგულარული (ყოველკვირეული) განახლება და ბექაფი (როგორც ელექტრონული, ისე მყარი ასლით)	< 2 კვირა